

499.962.1

ა - 759

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ავთანდილ ირაკლის ძე არაბული

სახელისა და ზმნის დერივაციის
ურთიერთმიმართების საკითხები
ქართველურ ენებში

10.02.01. ქართველური ენები

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი
1997

ფილოლოგიის
13 " 10 1997

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.


ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი**
ოფიციალური ოპონენტები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თედორე უთურგაიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ივანე ქეშიკაშვილი**
წამყვანი ორგანიზაცია — ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1997 წლის 14 ნოემბერს, 12 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის p 10.02. c №4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

380008, თბილისი, პ.ინგოროყვას ქ.№8.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წლის 13.X.



სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ქ. დიმიტრი

ქ.დათუკიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. თანამედროვე კომპარატივისტიკაში მონათესავე ენათა ძირეული ლექსიკური ფონდის ძირ-ფუძეთა ფორმირების, მათი პირვანდელი სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები შესადარებელი მასალის კვლევის ერთი უმთავრესი ასპექტია. მასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ენათა სისტემისა და სტრუქტურის (ფონოლოგიურის, მორფოლოგიურის, სინტაქსურის), სიტყვის წარმოშობისა (სახელდებისა) და მნიშვნელობის განვითარების, ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის არსებითი პრობლემები. ამიტომაც ქართველოლოგიის განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში მკვლევართა ინტერესი ამ საკითხებისადმი არ განელეზულა და, შეიძლება ითქვას, ყველა მნიშვნელოვანი შედეგი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისა მეტ-ნაკლებად მოიცავს და ეხება შესაბამის პრობლემებს. საკითხთან დაკავშირებული შეხედულებების თავმოყრა, შეჯერება და შეფასება, ახალი მოსაზრებების სამეცნიერო მიმოქცევის პროცესში ჩართვა უადრესად აქტუალურია დღეს, როდესაც ქართველოლოგიის დღის წესრიგში აქტიურად დგას ქართველურ ენათა ისტორიული და შედარებითი კვლევის შემაჯამებელი ნაშრომები — ისტორიული, შედარებითი, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონები და გამოკვლევები.

კვლევის მიზანი, ამოცანები და ობიექტი. საკითხის კვლევა მიზნად ისახავდა თავი მოეყარა და ნათლად წარმოედგინა ის ემპირიული მასალა, რომელიც ზმნისა და სახელის ძირეულ შრთიერთობას ასახავს და, ამდენად, წარმოადგენს ძირ-ფუძეთა ისტორიული დიფერენციაციის ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს. ქართველურ ენათა მდიდარ მონაცემებზე დაყრდნობით, არსებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, უმთავრეს ამოცანად გვესახებოდა ძირ-ფუძეთა ფორმირების თანმიმდევრული, ნათელი სურათ-

1551-